გაიზარდა საშემოსავლო/მოგების გადასახადის განაკვეთი სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირებისთვის / სისტემურ-ელექტრონული ფორმით (ონლაინ) ტოტალიზატორის ორგანიზატორებისთვის

სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირის, ასევე სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის ორგანიზატორის საშემოსავლო/მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-დან 20%-მდე გაიზარდა.

ამასთან, აღნიშნული პირების მიერ 2025 და შემდგომი პერიოდების კუთვნილი მოგებიდან გადახდილი დივიდენდები, რომლებიც მიეკუთვნება ზემოაღნიშნული საქმიანობიდან მიღებულ მოგებას, აღარ დაიბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით.

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/9f47059b-3494-485a-9742-6f112c2dda54

გაიწერა სესხის კაპიტალში შენატანად კვალიფიკაციის კრიტერიუმები

განისაზღვრა არარეზიდენტი დამფუძნებლისგან აღებული სესხის საწარმოს კაპიტალში შენატანად კვალიფიციკაციის კრიტერიუმები. ცვლილების თანახმად, სესხის გაცემის ოპერაცია სრულად ან ნაწილობრივ კვალიფიცირებული იქნება საწარმოს კაპიტალში შენატანად, თუ განსაზღვრული კრიტერიუმებიდან სულ მცირე 3 კრიტერიუმის ნაწილში იარსებებს შესაბამისი საფუძველი. ამასთან, მინიმუმ ერთი კრიტერიუმი უნდა იყოს შემდეგი ორი კრიტერიუმიდან ერთ-ერთი:

- სასესხო ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა - კერძოდ, პირის ფინანსური შესაძლებლობა საოპერაციო მოგებით დაფაროს სესხის ძირი და პროცენტი;

- მსესხებლის კაპიტალის სტრუქტურა - ექცევა თუ არა მსესხებლის ფინანსური მაჩვენებლები (მათ შორის, სესხის და კაპიტალის თანაფარდობა) საბაზრო დიაპაზონში;

აღნიშნული ცვლილება არ შეეხება 2025 წლის 1 იანვრამდე დარიცხულ პროცენტს, რომლის გადახდაც მოხდება 2025 წლის 1 იანვრის შემდეგ პერიოდებში, ასევე 2025 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საკურსო სხვაობას.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N423 „საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/6e682c5e-56f5-48d6-99f3-1fd4e2c5522c



დღგ-ის მიზნებისთვის განისაზღვრა საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული რამდენიმე პირის ერთ დასაბეგრ პირად განხილვის საფუძვლები და პირობები

საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო შემოწმების ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული პირების ერთ დასაბეგრ პირად განხილვა განხორციელდება ერთდროულად შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში:

1. პირების საქმიანობასთან/მართვასთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებებს იღებს ერთი და იგივე პირი;
2. პირების საქმიანობის ადგილი იდენტურია;
3. პირების საქმიანობის სახე და შინაარსი იდენტურია;
4. ჯგუფის მონაწილე რომელიმე წევრი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად.

ჯგუფის თითოეული წევრის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მიზნით, დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის განსაზღვრისას, გათვალისწინებულ იქნება ჯგუფის ყველა წევრის მიერ განხორციელებული საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ოპერაციების ჯამური თანხა. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ჯგუფის წევრთა ოპერაციების ჯამური თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს, ჯგუფის თითოეულ წევრს წარმოეშვება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N996 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 16 ოქტომბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/be6b53a4-8cc7-4d31-b2c3-a44ab447d7bb

შეიცვალა მცირე ბიზნესის რეჟიმით სარგებლობის წესი სამშენებლო მომსახურების გამწევი პირებისთვის

ცვლილების თანახმად, მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში აღარ გაითვალისწინება და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით აღარ დაიბეგრება ქვემოთ მოცემული მომსახურების ფარგლებში მიღებული შემოსავლები, თუ აღნიშნული მომსახურების მიმღებს წარმოადგენს საწარმო, ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი:

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი;
- სამოქალაქო მშენებლობის მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი;
- სპეციალიზებული სამშენებლო მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი;

ზემოაღნიშნული ცვლილება არ გავრცელდება მცირე ბიზნესის მიერ არამეწარმე ფიზიკური პირისგან მიღებულ შემოსავალზე.

ნორმატიული აქტი: საქართველოს მთავრობის დადგენილება N415 „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 1 თებერვალი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/e7c0d718-6171-4a8e-a2bc-d4fd27f7a7d4

განხორციელდა ცვლილებები დებიტორული და კრედიტორული ნაშთების დაბეგვრის შესახებ მეთოდურ მითითებაში

შეიცვალა შემოსავლების სამსახურის მიდგომა აუნაზღაურებელ დებიტორულ დავალიანებებთან და გადახდილ ავანსებთან მიმართებაში. გონივრულ ვადაში აუნაზღაურებელი დებიტორული დავალიანების თანხა ითვლება საწარმოს მიერ დირექტორზე გაცემულ ხელფასად და ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას. საწარმოს მიერ ავანსის სახით გადახდილი ის თანხები, რომლის შესაბამისი საქონელიც/მომსახურებაც საწარმოს გონივრულ ვადაში არ აქვს მიღებული, ან არ ფიქსირდება ავანსის თანხის უკან დაბრუნება, ასევე განიხილება დირექტორზე გაცემულ ხელფასად და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

ECOVIS®

დებიტორული დავალიანება/უიმედო ვალად აღიარებული დებიტორული დავალიანება, რომელიც დგინდება რომ ანაზღაურებულია, მაგრამ შესაბამისი თანხის ოდენობა არ ფიქსირდება სალაროში/ბანკში, მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულების ოდენობით დაექვემდებარება დაბეგვრას როგორც საწარმოს დირექტორზე გაცემული ხელფასი.

კრედიტორულ დავალიანებებთან მიმართებაში, ხარჯის ან ხარჯის ნაწილის 75% ჩაითვლება ანაზღაურებულად იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემოწმების ფარგლებში ვერ იქნა მოპოვებული/დადგენილი ან საგადასახადო ორგანოს ვერ წარედგინა ხარჯის გაწევის დამადასტურებელი საკმარისი დოკუმენტაცია, თუმცა დასტურდება ხარჯის ფაქტობრივად გაწევის ნამდვილობა და საჭიროება.

დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯების 75% გადახდილად მიიჩნევა ასევე ხარჯების საჭიროების ექსპერტიზის დასკვნით დადასტურების პირობებში.

ამასთან, იმპორტთან მიმართებაში განისაზღვრა პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობის პირობებშიც კი, ხარჯის 100% ჩაითვლება ანაზღაურებულად.
ასევე გასათვალისწინებელია, რომ გადახდილ ავანსთან, დებიტორულ/კრედიტორულ დავალიანებებთან მიმართებაში დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრება არ მოხდება თუ გადახდილი ავანსის, დებიტორული/კრედიტორული დავალიანების შესაბამისი თანხების ოდენობა არ აღემატება:

- მცირე კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 1 000 ლარს;
- საშუალო კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 10 000 ლარს;
- მსხვილი კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 100 000 ლარს.

ნორმატიული აქტი: „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის N22708 ბრძანება

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 29 ოქტომბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/59644f3e-ce37-40d9-a2f3-cf43794f32e3

დაზუსტდა ლიზინგის საგნის გამცემი მხარის ჩანაცვლების ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის წესი

დღგ-ის შესახებ მეთოდური მითითების დანართ N9-ს დაემატა დაემატა მაგალითი N7 „ლიზინგის საგნის გამცემი მხარის ჩანაცვლება“.

აღნიშნული მაგალითი არეგულირებს ლიზინგის გამცემი მხარის ჩანაცვლებისას, ლიზინგის თავდაპირველი გამცემის მიერ ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ყველა უფლებისა და ვალდებულების მესამე პირზე გადაცემის/რეალიზაციის დღგ-ით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი აქვს ლიზინგის თავდაპირველი გამცემის მიერ ლიზინგის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემას, აღნიშნული ოპერაცია წარმოადგენს მოთხოვნის დათმობის ოპერაციას (ცესიას) და სსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გათავისუფლებულია დღგ-ისაგან ჩათვლის უფლების გარეშე, როგორც ფინანსური ოპერაცია.

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/5b01b3e1-9ef6-45cf-a651-92b16968b4c1?openFromSearch=true



განისაზღვრა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციის მიერ საკუთარი წევრებისთვის დადგენილი საწევროების სანაცვლოდ მომსახურების გაწევის დღგ-ით დაბეგვრის წესი

16 ოქტომბერს დამტკიცდა ახალი სიტუაციური სახელმძღვანელო N2554, რომელიც არეგულირებს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციის (მგვ) მიერ, საკუთარი წევრისთვის ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის საბოლოო შეგროვების, დახარისხების და განთავსების მომსახურების გაწევის დღგ-ით დაბეგვრის საკითხს. აღნიშნული მომსახურება წარმოადგენს ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე მისი წევრისთვის ანაზღაურების სანაცვლოდ მომსახურების გაწევას, რომელიც, სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გათავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლების გარეშე. ხოლო სიტუაციური სახელმძღვანელოს დამტკიცებამდე პერიოდებში მგვ ორგანიზაციის მიერ განსახილველ ოპერაციებზე დარიცხული და წევრის მიერ ჩათვლილი შესაბამისი დღგ-ის თანხა არ დაექვემდებარება გაუქმებას, რამდენადაც, მოცემულ შემთხვევაში, საგადასახადო შეღავათის გამოუყენებლობას არსებითი ეკონომიკური გავლენა არ აქვს.

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/80e5bbd8-e3e7-420b-93d3-efcfa2559606?openFromSearch=true

გაიზარდა აქციზის განაკვეთები თამბაქოს ნაწარმზე

გაიზარდა აქციზის განაკვეთი თამბაქოს ცალკეულ პროდუქტებზე: სიგარა, სიგარილა, სიგარეტი და თამბაქოს ან აღდგენილი თამბაქოს შემცველობის პროდუქტები.

ნორმატიული აქტი: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/9f47059b-3494-485a-9742-6f112c2dda54

გაიზარდა თამბაქოს აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება

ცვლილების მიხედვით, 18 დოლარიდან 19.5 დოლარამდე გაიზარდა იმპორტული ფილტრიანი და უფილტრო (მათ შორის: სიგარა, სიგარილა) თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი 1000 ცალი აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება და იმპორტირებულ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2404 12 000 00 და 2404 19 900 00 კოდებში (– – დანარჩენი, ნიკოტინის/თამბაქოს შემცველობით) მითითებული საქონლისთვის განკუთვნილი 1000 ცალი აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N996 “გადასახადების ადმინისტრირების

შესახებ”ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/98f6c40c-6ac5-4025-b692-305bb76bcd54



განისაზღვრა ოფშორში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს მიერ ყველა აქტივზე საქართველოს საწარმოსთვის საკუთრების უფლების გადაცემისას გადასახადებისგან/გადასახდელებისგან გათავისუფლების წესები და პირობები

ცვლილების თანახმად, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის გადაცემად განიხილება:

- უცხოური საწარმოს მიერ საქართველოს საწარმოსთვის ყველა აქტივზე საკუთრების უფლების უსასყიდლოდ გადაცემა;

- უცხოური საწარმოს მიერ ყველა აქტივზე საკუთრების უფლების გადაცემა იმ ფიზიკური პირისთვის, რომელიც პირდაპირ/არაპირდაპირ ფლობს ამ უცხოური საწარმოს წილს/აქციას, ხოლო შემდგომ ამ ფიზიკური პირის მიერ ყველა აქტივის საქართველოს საწარმოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა ან/და საქართველოს საწარმოს კაპიტალში შეტანა;

აღსანიშნავია რომ, ფიზიკური პირის მიერ უცხოური საწარმოს ყველა აქტივის კაპიტალში შეტანის განხორციელებისას კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება აქტივების იმ ღირებულებით, რა ღირებულებაც ამ აქტივებს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოსთვის გააჩნდა მათი გადაცემის მომენტისთვის.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში აქციაზე/წილზე ან/და სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ მოთხოვნაზე საკუთრების უფლების გადაცემა საგადასახადო კოდექსის 982 მუხლის მიზნებისთვის არ განიხილება ქართული საწარმოს მიერ აქციის/წილის შეძენად ან/და სესხის გაცემად.

ცვლილებით ასევე განისაზღვრა ის პირობები, რომელთა ერთობლივად დაკმაყოფილების შემთხვევაში აქტივების/საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა/იმპორტი გათავისუფლდება იმპორტის გადასახდელისგან, ამასთან განისაზღვრა იმ დოკუმენტების ჩამონათვალი რომელიც საქონლის შემოტანისას/იმპორტისას უნდა წარედგინოს საგადასახადო ორგანოს.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N996 „გადასახადების ადმინისტრირების

შესახებ“ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 2 ოქტომბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/45f6a5c4-371e-4d89-92ad-ea5ecdd5b499

დარეგულირდა ელექტრონული ფორმით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაუქმების წესი

ელექტრონული ფორმით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (საფ-ი) და ნავთობპროდუქტების სპეციალური ანგარიშ-ფაქტურის (ნსაფ-ი) გასაუქმებლად, გამყიდველი უფლებამოსილია მყიდველს პროგრამულად წარუდგინოს იმ საფ-ის/ნსაფ-ის გაუქმების მოთხოვნა, რომელიც არც ერთი მხარის მიერ არ არის მიბმული საგადასახადო დეკლარაციაზე. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საფ-ი/ნსაფ-ი რომელიმე მხარის მიერ მიბმულია დეკლარაციაზე, მყიდველს გაუქმების მოთხოვნა წარედგინება მხოლოდ მაშინ, თუ შესაბამისი პირის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე საფ-ი/ნსაფ-ი ამოღებულია დეკლარაციიდან. აღსანიშნავია, რომ საფ-ი/ნსაფ-ი გაუქმებულად ითვლება მყიდველის მიერ გაუქმების მოთხოვნის დადასტურებისას.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N996 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 16 ოქტომბერი

წყარო:https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/acd35993-ea95-4fc1-b05a-3dc1fd6a6c3e

შეიცვალა მცირე ბიზნესის ყოველთვიური დეკლარაციის შევსების წესი

საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსების წესი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებისთვის ვინც შემოსავლებს და ხარჯებს ე.წ. საკასო და ე.წ. დარიცხვის მეთოდით აღრიცხავს.

მათთვის, ვინც შემოსავლებს საკასო მეთოდით აღრიცხავს, დეკლარაციის ცალკეულ გრაფებში ასახვას ექვემდებარება საანგარიშო თვის მიხედვით:

- ნაღდი ფულით ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავალი (საკონტროლო-სალარო აპარატის ბრუნვა);
- პოს-ტერმინალით მიღებული შემოსავალი;
- უნაღდო ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავალი (პოს-ტერმინალებით მიღებული შემოსავლის გარდა);
- სხვა ფორმით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ არის შეტანილი ზემოაღნიშნულ გრაფებში;

რაც შეეხება იმ ფიზიკურ პირს, რომელიც შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვისთვის დარიცხვის მეთოდს იყენებს, დასაბეგრი შემოსავალი იანგარიშება შემდეგი პრინციპით: საანგარიშო პერიოდში მიღებულ ფულად ანაზღაურებას დამატებული საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, რომლის საკომპენსაციო თანხა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მიღებული არ არის, გამოკლებული მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მიღებული ავანსები და გამოკლებული წინა საანგარიშო პერიოდში, საკომპენსაციო თანხის მიღებამდე დაბეგრილი შემოსავალი.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N999 „საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 4 დეკემბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/90562975-50b3-402f-b34b-201cf880373b

საგადასახადო აგენტს მიენიჭა უფლება საგადასახადო ორგანოსგან მოითხოვოს ცნობა არარეზიდენტის მიერ საქართველოში გადახდილი გადასახადის შესახებ

აღნიშნული ცვლილებით, ფორმა N3-ის - „არარეზიდენტის მიერ საქართველოში გადახდილი/დაკავებული გადასახადების შესახებ ცნობის“ შევსების და შემოსავლების სამსახურისგან საქართველოში გადახდილი/დაკავებული გადასახადების შესახებ ცნობის მოპოვების უფლება არარეზიდენტ პირთან ერთად მიენიჭა საგადასახადო აგენტს, მის მიერ არარეზიდენტისთვის გადახდილი ანაზღაურების ნაწილში.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N633 „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 20 დეკემბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/3bdf4bc4-f4d8-44d0-a8a4-b0deec85ea34

შეიცვალა ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის გაუქმების წესი

იმ შემთხვევაში თუ გაუქმებულია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების გადახდევინების მიზნით, საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით მიწოდების ოპერაცია, საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი ვალდებულია ოპერაციის გაუქმების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული წარმოადგენს რეალიზაციის განმახორციელებელი პირის პირადი აღრიცხვის ბარათზე თანხების შემცირების საფუძველს.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N996 “გადასახადების ადმინისტრირების შესახებ”

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 26 დეკემბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/b3bff1cd-9746-4ebe-a125-377eef0805c2

განხორციელდა ცვლილება ინვენტარიზაციის წესში

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (სმფ) ნაშთების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების დადგენისას, საგადასახადო ორგანო მხედველობაში არ მიიღებს ინვენტარიზაციის, საგადასახადო მონიტორინგის, საგადასახადო შემოწმების საფუძველზე სმფ-ების ნაშთების ფაქტობრივი აღრიცხვის დაწყების შემდეგ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ დეკლარაციებს/გაანგარიშებებს, რომლებიც მიეკუთვნება აღრიცხვის დაწყებამდე საანგარიშო პერიოდებს (გარდა ბოლო საანგარიშო პერიოდისა).

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N994 „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 27 დეკემბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/e9abf02d-fa4f-460b-a5a8-a97328b63834

განისაზღვრა დაქირავებული პირის მიერ უცხო ქვეყანაში გადახდილ გადასახადზე საქართველოში ჩათვლის უფლების მოპოვების წესი

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის დანართ „ა“-ს მე-14 სვეტში ასახვას ექვემდებარება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ჩათვლას დაქვემდებარებული, უცხო ქვეყანაში გადახდილი გადასახადის თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დაქირავებულისათვის ხელფასიდან დაკავებულ საშემოსავლო გადასახადის თანხას. ამასთან აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანხის მოცემულ უჯრაში ასახვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთსა და იმავე განაცემზე გადასახადის დაკავების უფლება წარმოექმნება როგორც საქართველოს, ისე მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს და უცხო ქვეყანაში გადახდილი თანხა ექვემდებარება ჩათვლას.

ცვლილებით განისაზღვრა გადასახადის გადამხდელისთვის ზემოაღნიშნული დანართი „ა“-ს მე-14 სვეტის შევსებაზე უფლების მინიჭების წესი. იმისათვის, რომ გადასახადის გადამხდელს მიენიჭოს ზემოაღნიშნული სვეტის შევსების უფლება, მან შემოსავლების სამსახურს უნდა მიმართოს დადგენილი ფორმის განცხადებით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი უცხო ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული იმ პირის რეზიდენტობის

დამადასტურებელი ცნობა, რომლის მიერ უცხო ქვეყანაში გადახდილი თანხა ექვემდებარება ჩათვლას და მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. ასევე, გადამხდელი ვალდებულია საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში წარადგინოს უცხო ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, უცხო ქვეყანაში დაკავებული და გადახდილი გადასახადის შესახებ და მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს შეუწყდება დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტის შევსების უფლება, ხოლო შემცირებული გადასახადის თანხა დაექვემდებარება აღდგენას.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N996 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ”

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 31 დეკემბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/ebb5d451-25de-4098-8160-66aa4a2c5eff?openFromSearch=true

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

! განისაზღვრა სესხის ლარში გაცემის ახალი ლიმიტი, კერძოდ, სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ 500 000 (ხუთასი ათას) ლარამდე სესხი/საბანკო კრედიტი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით

აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება, თუ სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის შედეგად თითოეული მსესხებლის ჯამური ვალდებულებები ამავე გამსესხებლის მიმართ 500 000 (ხუთასი ათას) ლარს აღემატება. ჯამური ვალდებულებების დათვლისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი ან/და თავდებობით ნაკისრი ვალდებულებები; ასევე, სესხი/საბანკო კრედიტი გაიცემა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირზე ან/და საქართველოში არარეგისტრირებულ იურიდიულ პირზე; სესხი/საბანკო კრედიტი სრულად არის უზრუნველყოფილი ფულადი სახსრებით იმავე ვალუტაში და ბრძანებით გათვალისწინებულ სხვა საგამონაკლისო შემთხვევებზე. ამ ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ 400 000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 10 აპრილის №90/04 ბრძანება.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 18 დეკემბრის ბრძანება №309/04

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 01 იანვარი

წყარო: სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ 500 000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”

https://matsne.gov.ge/ka/document/view/6335833?publication=0

დაემატა მუხლი, რომლის საფუძველზეც ბათილია შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულების, შრომითი ურთიერთობის ფარგლებში გაცემული ნებისმიერი მითითების ან/და შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დადებული ნებისმიერი შეთანხმების ის ნაწილი, რომელიც ბიოლოგიური სქესის ამსახველი შინაარსის ქონის გამო რომელიმე სიტყვის ან სიტყვათა ერთობლიობის გამოყენებისგან თავის შეკავებას გულისხმობს.

ნორმატიული აქტი: საქართველოს შრომის კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 2 დეკემბერი

წყარო: საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”

https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283937?publication=0

! განისაზღვრა კომპეტენტური ორგანოს ვალდებულება, რომ განახორციელოს რისკის პროპორციული ღონისძიებები:

ა) ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ საჯარო განცხადების გაკეთების შემთხვევაში; ბ) ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) საჯარო განცხადებისგან დამოუკიდებლად.

განისაზღვრა საჯარო რეესტრის ვალდებულება, რომ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარუდგინოს განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად იდენტიფიცირებული საეჭვო გარიგების ან/და უჩვეულო გარიგების შესახებ ანგარიშგება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ან/და ამ უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში. საეჭვო გარიგებისა და უჩვეულო გარიგების გამოვლენის კრიტერიუმებს ადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

საეჭვო გარიგების ან/და უჩვეულო გარიგების გამოვლენისთანავე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია ამ გარიგებით გათვალისწინებული უფლების რეგისტრაციამდე სამსახურს წარუდგინოს აღნიშნულ გარიგებასთან დაკავშირებული ანგარიშგება. თუ ანგარიშგების მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა სამსახური ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას არ გამოიყენებს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სარეგისტრაციო წარმოებას აგრძელებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

თუ საეჭვო გარიგება ან/და უჩვეულო გარიგება ამ გარიგებით გათვალისწინებული უფლების რეგისტრაციის შემდეგ გამოვლინდა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია აღნიშნულ გარიგებასთან დაკავშირებული ანგარიშგება სამსახურს ამ გარიგების გამოვლენის დღესვე წარუდგინოს.
სამსახური არაუმეტეს წელიწადში ერთხელ საეჭვო გარიგებასთან ან/და უჩვეულო გარიგებასთან დაკავშირებული ანგარიშგების შესახებ უკუკავშირს ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებები განახორციელოს ყიდვა-გაყიდვის გარიგების ან ჩუქების გარიგების საფუძველზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემთხვევაში.

მე-19 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1. ამ კანონის მიზნებისთვის მაღალი რისკის იურისდიქცია არის ქვეყანა ან ტერიტორია, სადაც ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სისტემას სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. საქართველოს ეროვნული ბანკი სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხას და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილება შეაქვს.

2. ანგარიშვალდებულმა პირმა იმ ფიზიკური პირის ან/და იურიდიული პირის მიმართ, რომლის ადგილსამყოფელი მაღალი რისკის იურისდიქციაშია, უნდა განახორციელოს რისკის, საქმიანი ურთიერთობისა და გარიგების პროპორციული გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები.

3. ანგარიშვალდებულმა პირმა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად უნდა განახორციელოს აგრეთვე რისკის პროპორციული გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები, თუ:

ა) კლიენტი არის მაღალი რისკის იურისდიქციაში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან ასეთი იურიდიული პირის საქართველოში რეგისტრირებული ფილიალი ან/და მისი მართვა ან ოპერირება მაღალი რისკის იურისდიქციიდან ხდება;

ბ) კლიენტი არის მაღალი რისკის იურისდიქციაში რეგისტრაციის ადგილის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მქონე ფიზიკური პირი;

გ) გარიგება იდება ან სრულდება ისეთი ფინანსური ინსტიტუტის მეშვეობით, რომლის ადგილსამყოფელი მაღალი რისკის იურისდიქციაშია.

4. გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სავალდებულო არ არის, თუ კლიენტი არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელი.

5. გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სავალდებულო არ არის, თუ ფინანსური ინსტიტუტი, რომლის ადგილსამყოფელი მაღალი რისკის იურისდიქციაშია, არის საქართველოში რეგისტრირებული ფინანსური ინსტიტუტის შვილობილი საწარმო (შვილობილი ორგანიზაცია) ან ფილიალი და ჯგუფის დონეზე შესაბამისობის კონტროლის სისტემა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვას უზრუნველყოფს.

ნორმატიული აქტი: „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 1 დეკემბერი;

წყარო: „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6182820?publication=0

! დამტკიცდა ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების ფორმების შევსებისა და წარდგენის წესი, რომლის საფუძველზე ანგარიშვალდებულ პირებს განესაზღვრათ ვალდებულება, რომ ყოველი წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის საანგარიშგებო პერიოდზე, ანგარიშგება წარუდგინონ სამსახურს დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო წლის 31 იანვრისა.

პირველი ანგარიშგების წარდგენისთვის განისაზღვრა შემდეგი პირობა: 2025 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის ანგარიშვალდებული პირი წარადგენს წლიურ ანგარიშგებას, რომლის საანგარიშგებო პერიოდიც იქნება 2025 წლის 01 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
აღნიშნული ანგარიშგების სამსახურისთვის წარდგენა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2026 წლის 31 იანვრისა.

კონკრეტული ანგარიშვალდებული პირის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით, ანგარიშვალდებული პირის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურაში ცვლილებების, ასევე, სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სამსახური უფლებამოსილია ანგარიშგება გამოითხოვოს ვადაზე ადრე, რა შემთხვევაშიც ანგარიშვალდებული პირი ანგარიშგებას წარადგენს 30 კალენდარული დღის ვადაში.

კონკრეტული ანგარიშვალდებული პირისთვის განსხვავებული საანგარიშგებო პერიოდი (უფრო მოკლე ან ხანგრძლივი) შეიძლება, სამსახურის გადაწყვეტილებით, განაპირობოს აღნიშნული ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის დონემ ან/და სხვა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის მნიშვნელოვანმა ფაქტორმა.

ნორმატიული აქტი: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №ნ-16, „ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების ფორმების შევსებისა და წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 9 დეკემბერი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6320490?publication=0

! დამტკიცდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის სახელმძღვანელო“. აღნიშნულის მიზანია, რომ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებულმა ანგარიშვალდებულმა პირებმა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის უზრუნველსაყოფად იხელმძღვანელონ ამ სახელმძღვანელოს შესაბამისად.

ნორმატიული აქტი: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2024 წლის 1 ნოემბრის ბრძანება N 693

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 01 ნოემბერი

წყარო: https://shorturl.at/Cp0Vw



! დამტკიცდა ანგარიშვალდებული პირის მიერ შესაბამისობის კონტროლის სისტემის დანერგვის წესი.
ანგარიშვალდებული პირის მიერ შესაბამისობის კონტროლის სისტემის დანერგვის წესის მოქმედება ვრცელდება სერტიფიცირებულ ბუღალტერზე, პროფესიული მომსახურების გამწევ ბუღალტერსა და აუდიტორზე, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ პროფესიულ მომსახურებას, აგრეთვე საბუღალტრო ფირმასა და აუდიტორულ (აუდიტურ) ფირმაზე. აღნიშნული წესი განსაზღვრავს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირის მიერ შესაბამისობის კონტროლის სისტემის დანერგვის წესებს.

ნორმატიული აქტი: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 22 ოქტომბრის ბრძანება №ნ-12 „ანგარიშვალდებული პირის მიერ შესაბამისობის კონტროლის სისტემის დანერგვის წესის დამტკიცების თაობაზე“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 23 ოქტომბერი

წყარო: ანგარიშვალდებული პირის მიერ შესაბამისობის კონტროლის სისტემის დანერგვის წესის დამტკიცების თაობაზე | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”

https://matsne.gov.ge/ka/document/view/6294729?publication=0

! ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესს დაემატა ეროვნული ბანკისთვის შეტყობინების ვალდებულებასა და შეფასებას დაქვემდებარებული სხვა ოპერაციების რეგულაცია

ბრძანებას დაემატა თავი, რომლის 301 მუხლი განსაზღვრავს შემდეგს: გარდა მითითებული ბრძანებით გათვალისწინებული შემოწმებისა, ეროვნული ბანკი შეისწავლის იმ ოპერაციასაც, რომლის მეშვეობითაც ხდება ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მეორე ეკონომიკური აგენტის აქტივების შეძენა, როდესაც აქტივების შემძენი ეკონომიკური აგენტი კომერციული ბანკი ან მიკრობანკია.
დამატებული თავის მიზნებისთვის ეკონომიკური აგენტის აქტივი გულისხმობს ისეთ ფინანსურ აქტივს (საკრედიტო პორტფელი (გარდა ჩამოწერილი საკრედიტო პორტფელისა) და სესხის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვა მოთხოვნები), რომელიც ეკონომიკური აგენტის აქტიური ბიზნეს-საქმიანობის განმსაზღვრელი და შემოსავლის მომტანია.

ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მეორე ეკონომიკური აგენტის აქტივების შეძენისას, ოპერაცია ეროვნული ბანკისთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება, თუ სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) ოპერაციის განხორციელების მომენტისთვის ოპერაციას დაქვემდებარებული აქტივებისა და შემძენის აქტივების საბალანსო ღირებულება ჯამურად, საქართველოს ტერიტორიაზე, 500 მილიონ ლარს აღემატება და, ამასთან, ოპერაციას დაქვემდებარებული აქტივების საბალანსო ღირებულება საქართველოს ტერიტორიაზე 100 მილიონ ლარს აღემატება;
ბ) უკანასკნელი ფინანსური წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ეკონომიკურ აგენტებს შორის ამ მუხლით გათვალისწინებული ოპერაციების განხორციელებით, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზღვრული მაჩვენებლები საქართველოს ტერიტორიაზე ჯამურად კმაყოფილდება.

ამ მუხლში გათვალისწინებული ოპერაცია დასაშვებია მხოლოდ ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი ოპერაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.
301 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში, შესაბამისი შეთანხმების ძალაში შესვლამდე ან/და ოპერაციის ფაქტობრივ განხორციელებამდე, ეროვნული ბანკისთვის შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება ოპერაციის მონაწილე ყველა ეკონომიკურ აგენტს, ერთობლივი შეტყობინების წარდგენის გზით. შეტყობინების წესი და განხილვის პროცედურა დეტალურად არის მოცემული V1 თავში. ამ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით განხორციელებული ოპერაციის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ოპერაციის მხარეებს დააკისროს ფულადი ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 3%-ს. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ჯარიმასთან ერთად ეკონომიკურ აგენტს დაუწესოს სხვა სანქცია ან საზედამხედველო ზომა.

ფულადი ჯარიმის დაკისრება ან ფულადი ჯარიმისა და საზედამხედველო ზომის/სანქციის გამოყენება პირს არ ათავისუფლებს ეროვნული ბანკისათვის ოპერაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის ვალდებულებისგან. ფულადი ჯარიმის ან ფულადი ჯარიმისა და საზედამხედველო ზომის/სანქციის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარდგენის ვადას, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს ეროვნული ბანკი და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ჯარიმის ან ფულადი ჯარიმისა და საზედამხედველო ზომის/სანქციის დაკისრების პარალელურად, ეროვნული ბანკი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს და ითხოვოს გარიგების გაუქმებას, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით, თუ:

ა) არსებობს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება დაგეგმილი ოპერაციის დაუშვებლობის თაობაზე;
ბ) ეროვნულმა ბანკმა განიხილა კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებული ოპერაცია და იგი დაუშვებლად მიიჩნია.

ECOVIS®

ნორმატიული აქტი: „ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანება

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2024 წლის 22 აგვისტო

წყარო: „ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"

https://matsne.gov.ge/ka/document/view/6252146?publication=0

დაემატა საქმიანობის ლიცენზიის სახეები, კერძოდ პიროტექნიკური ნაწარმის წარმოებისა და რეალიზაციის ლიცენზია, ასევე, პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტისა და ექსპორტის ნებართვა

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 1 თებერვალი

ამავე კანონში ნებართვების სახეებს დაემატა შემდეგი: საქართველოს სპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სროლის სახეობის ეროვნული სპორტული ფედერაციის/ორგანიზაციის ან/და მისი წევრი იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის მიერ (რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გახსნილი აქვს დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირი, სასროლეთი ან/და სასროლო-სანადირო სტენდი), აგრეთვე იმავე წესით აღიარებული ეროვნული სპორტული ორგანიზაციის მიერ (რომლის ერთ-ერთი მიმართულებაც სროლის სახეობაა) სანადირო ან/და სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის, მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის, დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა.

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი;

ნორმატიული აქტი: „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი
წყარო: „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6330293?publication=0

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6367292?publication=0

სავალდებულო გახდა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის, ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის ფუნქციის შემსრულებელ საწარმოში

სამეთვალყურეო საბჭოსთან და მის წევრთან მიმართებით დაცული უნდა იყოს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღნიშნული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს წარმომადგენელი შეიძლება იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას ამ საწარმოსთან ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს. საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც იმავდროულად საჯარო მოსამსახურეა, მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს სათანადო ანაზღაურების გარეშე ასრულებს და მისი საქმიანობა საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობად არ მიიჩნევა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის, ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობა საჯარო მოსამსახურე არ უნდა იყოს. ასევე, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის, ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობისა და განცალკევების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის სექტორში წარმოებისა და ვაჭრობის განმახორციელებელ საწარმოში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო. ამ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოსთან და მის წევრთან მიმართებით დაცული უნდა იყოს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღნიშნული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს წარმომადგენელი შეიძლება იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას ამ საწარმოსთან ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს. საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც იმავდროულად საჯარო მოსამსახურეა, მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს სათანადო ანაზღაურების გარეშე ასრულებს და მისი საქმიანობა საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობად არ მიიჩნევა.

იმ სამეწარმეო საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტს, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო, გარდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული სამეწარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი შეიძლება იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას ამ საწარმოსთან ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს. სამეწარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც იმავდროულად საჯარო მოსამსახურეა, მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს სათანადო ანაზღაურების გარეშე ასრულებს და მისი საქმიანობა საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობად არ მიიჩნევა.

ნორმატიული აქტი: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 29 მარტი

წყარო: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”

https://matsne.gov.ge/ka/document/view/6328901?publication=0



საკონტაქტო ინფორმაცია

აფაქიძის ქ.5, ტიფლის ბიზნეს
ცენტრის მე-11 სართული, თბილისი

+995 032 243 22 81
tbilisi@ecovis.ge
www.ecovis.ge